




საქართველო  
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
 საკრებულო



N 65  
 26/08/2016

65-07-4-201608261356



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
 განკარგულება №65  
 2016 წლის 26 აგვისტო  
 ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის 2016 წლის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებიდან მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსებისათვის თანხის მიმართვის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 49-ე მუხლის მე-5 პუნქტის, ამავე კოდექსის 58-ე მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტისა და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის N54 დადგენილების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად,

**მუხლი 1.** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის 2016 წლის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებიდან 4900 (ოთხი ათასცხრაასი) ლარი მიიმართოს საარჩევნო უბნებზე ყველა ამომრჩევლისათვის ადაპტირებული გარემოს ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი ხელაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო

№	ტერიტორიული ორგანო	სოფელი	პროექტის დასახელება	პროექტის სავარაუდო ღირებულება
1	ნიგოთის ადმინისტრაციული ერთეული	სოფ. ჭყონაგორა	სარიტუალო დარბაზზე პანდუსის მოწყობა	1400
2	სუფსის ადმინისტრაციული ერთეული	სუფსა	კულტურის სახლზე პანდუსის მოწყობა	1700
3	აკეთის ადმინისტრაციული ერთეული	ქვემო აკეთი	კულტურის სახლზე პანდუსის მოწყობა	1800
	სულ:			4900